თებერვალი 2018

ევროპული სკოლა

სკოლის გაზეთი

ამერიკული უმაღლესი სკოლის მოსწავლეების ვიზიტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

სამშაბათს, 13 თებერვალს, ამერიკული უმაღლესი სკოლის VIII, IX, XI და XII კლასის მსოფლიოს ისტორიის კურსის მოსწავლეები საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ეწვივნენ მასწავლებლებთან, ჯოზეფ ბლეიქსა და ნათია ფიფიასთან, ერთად. მათ გააანალიზეს ანტიკური რომის და უძველეს ქართულ კულტურათა შორის არსებული კავშირები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რომის რესპუბლიკისა და რომის იმპერიის პერიოდის ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ექსპონატები, მათ შორის, მოზაიკის ფრაგმენტები და მონეტები. იმავე დღეს, მოსწავლეებმა დაათვალიერეს საქართველოს 1921-1991 წლების საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი. ამ ვიზიტის დასასრულს მოსწავლეებმა კარგად დაინახეს, თუ რა გამოწვევების წინაშე იდგა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ისეთ დიდ მეზობლებთან ურთიერთობისას, როგორიც იყო ანტიკური რომი თუ რუსეთი.

პაატა კალოიანი, AHS

სოციალური თანასწორობის დღე „ევროპულ სკოლაში“

სოციალური თანასწორობის დღის აღსანიშნავად IBMYP მოსწავლეებმა მოიწვიეს საერთაშორისო ორგანიზაციის "World Vision Georgia" ბენეფიციარე-ბი.მოწვეულ მოზარდებს "ევროპული სკოლის" მოსწავლეებთან ერთად ჩაუტარდათ შემეცნებითი ხასიათის შეხვედრა თემაზე "გლობალური დათბობა". ინტეგრირებულ ჯგუფებში ბავშვებმა იმსჯელეს გარემოს დაცვის აქტუალურ საკითხებზე და შექმნეს პოსტერები. აღსანიშნავია, რომ "ევროპულმა სკოლამ" რამოდენიმე თვეა, რაც თანამშრომლობა დაიწყო "World Vision Georgia"-სთან. ვიმედოვნებთ, რომ მსგავსი ერთობლივი ღონისძიებები ჩვენს მომავალ თაობებს დიდ სარგებელს მოუტანს.

თამარ სეხნიაშვილი, MYP საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი

„კიბერ-უსაფრთხოების მომავალი ექსპერტი“

"სამეცნიერო კიბერ უსაფრთხოების ასოციაციისა" და "ევროპული სკოლის" რგანიზებით, 23 თებერვალს "ევროპულ სკოლაში" გაიმართა კონფერენცია "კიბერ უსაფრთხოების მომავალი ექსპერტი", რომელშიც კიბერ უსაფრთხოების ექსპერტებთან ერთად, ჩვენი სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. ძალიან სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ მოსწავლეებმა წარმოდგენილი ინოვაციური იდეებისთვის მაღალი შეფასება დაიმსახურეს და საინტერესო შემოთავაზე-ბებიც მიიღეს ექსპერტებისა და მოწინავე IT ორგანიზა-ციებისგან. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა MYP X კლასის მოსწავლის ზუკა ქევანიშვილის პროექტმა "ახალი კრიპტო სისტემა", რომელშიც წარმოდგენილია მოსწავლის მიერ შექმნილი, სიმეტრიულ კრიპტოგრა-ფიაზე დაფუძნებული ახალი კრიპტოსისტემა. "სამეცნიერო კიბერ უსაფრთხოების ასოციაციასა" და "ევროპულ სკოლას" შორის გაფორმდა თანამშრომ-ლობის მემორანდუმი. კონფერენციის ყველა მომხსენებელს გადაეცა მონაწილეობის სერტიფიკატები. თეზისები დაიბეჭდა კონფერენციის თეზისების წიგნში, ხოლო სტატიების სრული ვერსიები გამოქვეყნდება "სამეცნიერო და პრაქტიკული კიბერ უსაფრთხოების ჟურნალში."

კონფერენცია გააშუქა "TV პირველმა" და ონლაინ გამოცემამ "კიბერ ჯვირა".

მაქსიმ იავიჩი

CIS MEMBER

ი. სხირტლაძის ქუჩა 2, თბილისი, 0177, საქართველო
ტელ: (032) 239 59 64,

ელ-ფოსტა: info@europeanschool.ge
ვებ-გვერდი: www.europeanschool.ge

ვალენტინობის დღე "ევროპულ სკოლაში"

ყოველწლიურად ვალენტინობის დღე ჩვენს სკოლაში მხიარულად აღინიშნება. წელსაც ეს დღესასწაული სიხარულის მომტანი იყო, განსაკუთრებით კი ჩემთვის. მე და ჩემმა თანაკლასელმა ზურაბ ძნელაძემ მონაწილეობა მივიღეთ წყვილების კონკურსში, რომელშიც დაგვევალა ვალენტინობის დღესთან დაკავშირებით მოკლემეტრაჟიანი ვიდეოს გადაღება, ცეკვის მომზადება ცნობილი ფილმიდან ან რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების გმირების გაცოცხლება სცენაზე. გარდა ამისა, მონაწილეობა მივიღეთ რამდენიმე სახალისო თამაშში. დასასრულს სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა - ჩვენ კონკურსში გამარჯვება მოვიპოვეთ და დავსაჩუქრდით სასურველ კინოსეანსის ბილეთებით.

ანასტასია დომბროვსკაია, DP 11

PYP მოსწავლეები ეუფლებიან ეფექტურ კომუნიკაციას

PYP მესამეკლასელებმა მეორე სემესტრი დაიწყეს იმის შესწავლით, თუ როგორ გამოხატავენ ადამიანები საკუთარ თავს. მათ გაიზიარეს კომუნიკაციის მნიშვნელობა. მოსწავლეებმა გამოიკვლიეს ის გზები, რომლის მეშვეობითაც ჩვენ აღმოვაჩენთ და გამოვხატავთ იდეებს, გრძნობებს, ბუნებას, კულტურას, რწმენასა და ღირებულებებს. მათ შეისწავლეს კომუნიკაციის ისტორია და ნახეს, თუ როგორ იცვლებოდა ის დროსთან ერთად.მოსწავლეებმა მოამზადეს გაზეთი, რომელშიც თავიანთი სტატიები მოათავსეს. მათ შექმნეს პოსტერები, რომლებიც ასახავდა კომუნიკაციის სახეების ცვლილებას. ხელოვნების გაკვეთილებზე სტუდენტებმა შექმნეს ნამდვილი ტელევიზორის იმიტაცია. კლასში ისინი მონაწილეობას იღებდნენ ისეთ აქტივობებში, რომლებიც მათ ეხმარებოდა, ესწავლათ ერთმანეთთან კომუნიკაცია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ ისწავლეს, რომ არსებობს კომუნიკაციის სხვა სახეებიც, როგორიც არის მორზეს ანბანი, ბრაილის შრიფტი და ჟესტების ენა.

ჩვენმა მოსწავლეებმა „ევროპულ სკოლაში“ უმასპინძლეს სპეციალურ სტუმრებს „საქართველოს ყრუ-მუნჯთა ორგანიზაციიდან“. მოზარდებმა მათი დახმარებით შეისწავლეს ჟესტების ენის ძირითადი და მარტივი ნიშნები. მოსწავლეები ასევე ესტუმრნენ საქართველოს ეროვნულ მაუწყებელს და თავად ნახეს, თუ როგორ იქმნება სატელევიზიო პროგრამები და როგორ ხდება ინფორმაციის გაზიარება გლობალურად. თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა, რომლის ფარგლებშიც მათ ისწავლეს, თუ რატომაა მნიშვნელოვანი კომუნიკაცია, მოხუცთა თავშესაფარ „კათარზისში“ ვიზიტი იყო. მოსწავლეებმა შეაგროვეს ტკბილეული, ძაფები და ქსოვისთვის საჭირო ნივთები. მოხუცთა თავშესაფარში ისინი შეხვდნენ იქ მცხოვრებლებს; ისაუბრეს; მათთან ერთად ითამაშეს ჭადრაკი, დომინო, ნარდი; იმღერეს და იცეკვეს.

ეს დაეხმარა მათ, გაეცნობიერებინათ, თუ რატომაა მნიშვნელოვანი თაობებს შორის კომუნიკაცია. აქტივობებში მონაწილეობისა და თავშესაფარში ვიზიტის შემდეგ მიღებული ცოდნა დაეხმარა მოსწავლეებს კომუნიკაციის სხვადასხვა ტიპის შესწავლაში.

მოსწავლეების კომენტარები:

ბილგე: „მომეწონა, რომ ჩვენი ვიზიტით ისინი გავახარეთ.“

დერენ: „მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ, ბავშვებს, გვქონდეს კომუნიკაცია უფროსებთან, განსაკუთრებით მათთან, ვისაც საკუთარი ოჯახი არ აქვს!“

ფიდან: „ბებიები და ბაბუები ძალიან მეგობრულები და საყვარლები იყვნენ.“

მერაბი: „მომეწონა, მოხუცები როგორ თამაშობდნენ ჭადრაკს, კარგი სტრატეგიითა და უდიდესი ტაქტიკით.“

ამინა: „კარგი შეგრძნება იყო, როდესაც მოხუცი ბებიები ქსოვას გვასწავლიდნენ.“

ანასტასია: „ბედნიერი ვიყავი, როდესაც მათ გაბედნიერებასაც ვცდილობდით.“

ნიტა: „მომეწონა, როდესაც ერთად ვმღეროდით.“